საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანასტასი სინელი

ანასტასი სინელი (Anastasios ho Sinaitēs), VII ს. II ნახ. ბიზანტიელი თეოლოგი, ორთოდოქსი. სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წინამძღვარი, შემდეგ - ანტიოქიის პატრიარქი.

ა. ს-ის დოგმატ.-პოლემიკურ თხზულებებს კარგად იცნობდა ძვ. ქართ. სას. მწერლობა. მისი უმთავრესი ნაშრომი „წინამძღუარი“ თარგმნა არსენ იყალთოელმა და შეიტანა „დოგმატიკონში“ (S–1463); თეოფილე ხუცეს-მონაზონმა თარგმნა ა. ს-ის „შემოსლვისათვს მარხვათაჲსა და მეექუსისათვს ფსალმუნისა“ (A–733, 129), ხოლო ეფრემ მცირემ – „შესუენებულთათვს“ (A–129). ა. ს-ის „წინამძღურის“ გავლენა ატყვია ანტონ I-ის „მზამეტყველებას“.

თხზ. [იხ.]: Patrologiae cursus completus ..., series graeca, éd. J.-P. Migne, t. 89, P., 1864.